



USAID
აშშ-ის საერთაშორისო
აშხარბიპი სალხისბან

პროექტი ზრდა საქართველოში
ZRDA ACTIVITY IN GEORGIA



Chemonics
Development works here.

PRESS RELEASE

გავრცელდეს დაუყოვნებლივ
1 სექტემბერი 2017
დამატებითი ინფორმაციისათვის:
ქეთი რეხვიაშვილი, კომუნიკაციების მენეჯერი
ტელ: 032 222 7495 მობ: 599 095 111
ელფოსტა: krekhiashvili@zrda.ge

"აღმოაჩინე მეტი სამცხე-ჯავახეთში" - USAID-ის პროექტ Zrda-ს და საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ერთობლივი ინიციატივა

ბორჯომი, Crowne Plaza Borjomi - დღეს, 1 სექტემბერს, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტ Zrda-ს და საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინიციატივით გაიმართა შეხვედრა საქართველოს ტურ-ოპერატორებთან, რომელიც სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ახალი ტურისტული მარშრუტების, დამატებით ვიზიტორთა მოზიდვასა და მდიდარი მემკვიდრეობის პოპულარიზაციას ისახავს მიზნად.

USAID-ის პროექტ Zrda-ს და საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მხარდაჭერით, 29 აგვისტოს-1 სექტემბერს რეგიონში ჩატარდა საინფორმაციო ტური საქართველოში რეგისტრირებულ და წარმატებულ ტუროპერატორთათვის, რათა გაიზარდოს სამცხე-ჯავახეთში არსებული ტურისტული ობიექტების ცნობადობა და ხელი შეეწყოს მეტი ვიზიტორ-დამსვენებლის მოზიდვას, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ტურისტულ ინდუსტრიაში ჩართული ადგილობრივი სუბიექტების შემოსავლების ზრდას და განვითარებას. ტური მოიცავდა ნინოწმინდის, ახალქალაქის, ასპინძის, ახალციხის, ადიგენისა და ბორჯომის მუნიციპალიტეტებს.

ტურის ფარგლებში, ტუროპერატორებმა მოინახულეს ზემო ვარძიის, უდესა და ჭულეს სამონასტრო კომპლექსები, ძვ.წ.ად. II ათასწლეულით დათარიღებული საროს მეგალითური ნაგებობები, მესხური დარბაზები და მესხური ვაზის ტერასები, ხალიჩების რეწვის ნიმუშები; და დააგემოვნეს მესხური სამზარეულო და უნიკალური ქვევრის ლუდი. ასევე, მონაწილეები ეწვივნენ დუხობორების თემს და გაიცნეს მათი ყოფა-ცხოვრება. მომავალში, შეიქმნება ტურისტული ობიექტების მონაცემთა ბაზა, რაც ხელს შეუწყობს შეთავაზებათა სპექტრის გაზრდას და ვიზიტორთა ნაკადის მატებას.

რეგიონებში ტურიზმის განვითარების მხარდასაჭერად, USAID-ის პროექტი Zrda ხელს უწყობს ახალი ტურისტული პროდუქტის შემუშავებას, ახალი ტურისტული ობიექტების და ღირშესანიშნაობების პოპულარიზაციასა და ტურიზმის სექტორში ჩართული მხარეების ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის გაუმჯობესებას კომპლექსური მიდგომის გამოყენებით. პროექტი ასევე ხელს უწყობს სამიზნე რეგიონებში ახალი სამოგზაურო პაკეტების პრომო მასალის საერთაშორისო გამოფენებზე გატანას. პროექტის



USAID
ამერიკელი ხალხისგან

პროექტი ზრდა საქართველოში
ZRDA ACTIVITY IN GEORGIA



Chemonics
Development works here.

მიზანია ხელი შეუწყოს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, მცირე და საშუალო საწარმოების ზრდას და შესაბამისად, რეგიონების მდგრად ეკონომიკური განვითარებას.

USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტი ზრდა არის ხუთწლიანი პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას საქართველოს ხუთი რეგიონის 70 თემში. ზემოაღნიშნულის მისაღწევად, პროექტი განახორციელებს შემდეგ ინიციატივებს: მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების განვითარება; სოფლის მეურნეობის შემოსავლების ზრდის ხელშეწყობა; მეწარმეებსა და მყიდველებს შორის საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბება და განვითარება; ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა ბიზნესკავშირების დამყარებისა და გაძლიერების მეშვეობით. პროექტი მოიცავს ადმინისტრაციული საზღვრისპირა და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული თემებს. პროექტის განხორციელების შედეგად სამიზნე თემებში შეიქმნება სამუშაო ადგილები, ოჯახებს გაეზრდებათ შემოსავლები და მნიშვნელოვნად გაძლიერდება ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა. დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ: <https://www.facebook.com/zrda.ge>; www.zrda.ge; www.zrda.ge